

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2026 წლის 30 იანვარი

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში (<https://www.matsne.gov.ge>, 29/12/2025, 190020020.35.158.016680) შევიდეს ცვლილება:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 30 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი სვანიძე

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
თავი I

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათ.ლარი

#	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I	შემოსავლები	54 993,9	63 464,3	48 474,6	9 079,0	39 395,5
1.1	გადასახადები	13 387,6	22 777,1	25 999,6	-	25 999,6
1.3	გრანტები	23 353,4	25 761,8	9 179,0	9 079,0	100,0
1.4	სხვა შემოსავლები	18 253,0	14 925,5	13 295,9	-	13 295,9
II	ხარჯები	43 748,4	48 580,8	49 476,1	11 769,9	37 706,2



2.1	შრომის ანაზღაურება	6 316,5	6 870,4	7 931,4	8,4	7 923,0
2.2	საქონელი და მომსახურება	5 205,2	4 915,9	5 636,5	883,2	4 753,2
2.4	პროცენტი	11,3	6,2	1,3	-	1,3
2.5	სუბსიდიები	24 700,5	29 607,3	29 959,0	10 317,4	19 641,6
2.6	გრანტები	48,0	64,0	45,0	-	45,0
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	4 548,5	4 990,6	3 587,2	167,0	3 420,2
2.8	სხვა ხარჯები	2 918,4	2 126,3	2 315,8	393,9	1 921,9
III	საოპერაციო სალდო	11 245,6	14 883,6	- 1 001,6	- 2 690,9	1 689,3
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 489,5	12 218,4	14 890,1	10 598,1	4 292,0
	ზრდა	13 713,7	13 025,7	15 335,1	10 598,1	4 737,0
	კლება	1 224,3	807,3	445,0	-	445,0
V	მთლიანი სალდო	- 1 243,9	2 665,1	- 15 891,6	- 13 288,9	- 2 602,7
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1 301,4	2 607,7	- 15 920,4	- 13 288,9	- 2 631,5
	ზრდა	15 692,8	18 416,5	-	-	-
	ვალუტა და დეპოზიტები	15 692,8	18 416,532	-	-	-
	კლება	16 994,2	15 808,9	15 920,4	13 288,9	2 631,5
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	16 994,2	15 808,9	15 920,45	13 288,95	2 631,50
VII	ვალდებულებების ცვლილება	- 57,5	- 57,5	- 28,8	-	- 28,8
	კლება	57,5	57,5	28,8	-	28,8
33.1	საშინაო	57,5	57,5	28,8	-	28,8
VIII	ბალანსი	0,0	-	-	-	0,00

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

ათ.ლარი

#	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



1	შემოსულობები	56 218,2	64 271,6	48 919,6	9 079,0	39 840,5
	შემოსავლები	54 993,9	63 464,3	48 474,6	9 079,0	39 395,5
	არაფინანსური აქტივების კლება	1 224,3	807,3	445,0	-	445,0
2	გადასახდელები	57 519,6	61 664,0	64 840,0	22 368,0	42 472,0
	ხარჯები	43 748,4	48 580,8	49 476,1	11 769,9	37 706,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13 713,7	13 025,7	15 335,1	10 598,1	4 737,0
	ვალდებულებების კლება	57,5	57,5	28,8	-	28,8
3	ნაშთის ცვლილება	- 1 301,4	2 607,7	- 15 920,4	- 13 288,9	- 2 631,5

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 48474.6 ათასი ლარის ოდენობით.

ათ.ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	54 993,9	63 464,3	48 474,6	9 079,0	39 395,5
11	გადასახადები	13 387,6	22 777,1	25 999,6	-	25 999,6
13	გრანტები	23 353,4	25 761,8	9 179,0	9 079,0	100,0
14	სხვა შემოსავლები	18 253,0	14 925,5	13 295,9	-	13 295,9

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 25999.6 ათასი ლარის ოდენობით

ათ.ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



					ტრანსფერები	
11	გადასახადები	13 387,6	22 777,1	25 999,6	-	25 999,6
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	6 827,3	7 743,1	7 200,0	-	7 200,0
113111 113112	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	5 229,3	6 053,5	6 000,0	-	6 000,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	36,1	89,6	5,0	-	5,0
113114 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1 562,0	1 600,0	1 195,0	-	1 195,0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1 069,1	1 115,9	1 170,0	-	1 170,0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	493,0	484,1	25,0	-	25,0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	6 560,3	15 034,0	18 799,6	-	18 799,6

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9179.0 ათ. ლარის ოდენობით.

ათ.ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
13	გრანტები	23 353,4	25 761,8	9 179,0	9 079,0	100,0
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	23 313,0	25 761,8	9 179,0	9 079,0	100,0
1331	მიმდინარე	11 032,4	13 185,6	1 165,6	1 165,6	-
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	1 026,4	1 185,6	1 165,6	1 165,6	-
13313	გრანტები ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტიდან	100,0	100,0	100,0	-	100,0
133131	გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან	100,0	100,0	100,0	-	100,0
1332	კაპიტალური	12 180,6	12 476,2	7 913,5	7 913,5	-
1332112	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	8 953,1	6 946,1	7 199,5	7 199,5	-



1332112	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	703,1	714,0	714,0	714,0	-
---------	-----------------------------	-------	-------	-------	-------	---

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 13295.9 ათ.ლარის ოდენობით.

ათ.ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
14	სხვა შემოსავლები	18 167,0	14 845,0	13 295,9	-	13 295,9
141	შემოსავლები საკუთრებიდან	17 285,1	11 560,1	11 530,0	-	11 530,0
1411	პროცენტები	1 413,4	1 248,6	1 000,0	-	1 000,0
1415	რენტა	15 871,7	10 311,5	10 530,0	-	10 530,0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	15 794,6	10 239,9	10 500,0	-	10 500,0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	77,1	71,7	30,0	-	30,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	134,1	206,1	155,0	-	155,0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	134,1	175,8	140,0	-	140,0
14223	სანებართვო მოსაკრებლები, მათ შორის	-	34,6	20,0	-	20,0
1422399	სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი	-	17,2	20,0	-	20,0
142210	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	134,1	141,3	120,0	-	120,0
1423	არასაბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	-	30,2	15,0	-	15,0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	-	30,2	15,0	-	15,0
1423209	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	-	-	15,0	-	15,0
	სანქციები (ჯარიმები და					



143	საურავები)	572,5	2 637,7	1 500,0	-	1 500,0
1431	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	572,5	2 637,7	1 500,0	-	1 500,0
144	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	175,3	441,1	110,9	-	110,9
1441	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	175,3	441,1	110,9	-	110,9
1441299	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	175,3	441,1	110,9	-	110,9

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 49476,1 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათ.ლარი

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	43 748,4	48 580,8	49 476,1	11 769,9	37 706,2
შრომის ანაზღაურება	6 316,5	6 870,4	7 931,4	8,4	7 923,0
საქონელი და მომსახურება	5 205,2	4 915,9	5 636,5	883,2	4 753,2
პროცენტი	11,3	6,2	1,3	-	1,3
სუბსიდიები	24 700,5	29 607,3	29 959,0	10 317,4	19 641,6
გრანტები	48,0	64,0	45,0	-	45,0
სოციალური უზრუნველყოფა	4 548,5	4 990,6	3 587,2	167,0	3 420,2
სხვა ხარჯები	2 918,4	2 126,3	2 315,8	393,9	1 921,9

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 14890.1 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15335.1 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათ.ლარი



პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 02	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია	245,5	50,6	650,0	-	650,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	8 060,7	8 944,5	8 908,3	7 393,5	1 514,8
02 02 01	სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	-	100,0	95,0	5,0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	811,0	442,3	304,7	260,9	43,8
02 02 03	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,5	10,3	20,0	-	20,0
02 02 08	სანიაღვრე სისტემების მოწყობა	293,7	-	397,0	377,2	19,9
02 02 12	რიტუალების სახლებისა და სასაფლაოების მშენებლობა/რეაბილიტაცია	247,3	13,0	20,0	-	20,0
02 03 01	ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია	266,5	-	967,6	-	967,6
02 03 02	სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა	282,8	8,4	65,3	35,3	30,0
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	975,6	1 025,4	1 128,5	628,5	500,0
02 05	საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	351,1	38,2	450,0	-	450,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	336,9	344,4	380,0	-	380,0
03 02	ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება	1,8	-	9,9	-	9,9
04 03	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	-	269,4	669,1	669,1	-
05 01 02 01	სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა და მოწყობა	162,0	1 030,4	1 203,0	1 080,1	122,9
05 02 02	კულტურული შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	111,1	63,8	61,8	58,7	3,1
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	13 539,2	13 019,6	15 335,1	10 598,1	4 737,0



ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 445,0 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათ.ლარი

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
31	არაფინანსური აქტივების კლება	1 224,3	807,3	445,0	-	445,0
311	ძირითადი აქტივები	110,8	153,2	45,0	-	45,0
312	მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
314	არაწარმოებული აქტივები (მიწა)	1 113,5	654,1	400,0	-	400,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით.

ათ.ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	9141,8	9387,6	11558,1	0,0	11558,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო	9130,5	9381,4	11556,8	0,0	11556,8



	ურთიერთობები					
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9130,5	9381,4	11256,8	0,0	11256,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	300,0	0,0	300,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	11,3	6,2	1,3	0,0	1,3
704	ეკონომიკური საქმიანობა	11650,1	12605,3	12932,7	9137,8	3794,8
7045	ტრანსპორტი	9579,8	10639,3	10763,3	8393,5	2369,8
70451	სავაჭრობილო ტრანსპორტი და გზები	9579,8	10639,3	10763,3	8393,5	2369,8
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2070,4	1966,0	2169,3	744,3	1425,0
705	გარემოს დაცვა	4836,1	5198,8	5280,0	3200,0	2080,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	3890,2	4075,4	4180,0	2500,0	1680,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	945,9	1123,4	1100,0	700,0	400,0
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	6761,3	5205,8	5998,7	2342,2	3656,5
7061	ბინათმშენებლობა	2441,3	2268,8	1874,2	1073,9	800,3
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	293,7	0,0	397,0	377,2	19,9
7063	წყალმომარაგება	869,4	535,2	474,7	355,9	118,8
7064	გარეგანათება	1224,5	1265,9	1320,0	0,0	1320,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1932,4	1135,8	1932,9	535,3	1397,6
707	ჯანმრთელობის დაცვა	664,9	748,3	759,9	317,4	442,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	658,8	748,3	759,9	317,4	442,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	11460,0	14391,0	14513,8	1738,7	12775,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	490,5	580,8	550,0	300,0	250,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	9806,4	12436,8	12702,0	1380,1	11321,9
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	316,0	382,5	380,0	0,0	380,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	482,7	612,2	480,0	0,0	480,0



7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	364,5	378,7	401,8	58,7	343,1
709	განათლება	5571,3	6904,8	7636,4	5436,4	2200,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	4834,2	5900,9	6200,0	4000,0	2200,0
7092	ზოგადი განათლება	737,1	1003,8	1436,4	1436,4	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	737,1	1003,8	1436,4	1436,4	0,0
710	სოციალური დაცვა	6926,9	7100,2	6131,6	195,4	5936,2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1419,2	1708,0	1790,0	0,0	1790,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	521,0	604,1	630,0	0,0	630,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	898,2	1104,0	1160,0	0,0	1160,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	907,4	1077,5	1154,0	0,0	1154,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2583,0	2882,2	1692,6	195,4	1497,2
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	66,4	67,2	90,0	0,0	90,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32,5	30,3	45,0	0,0	45,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1918,4	1334,9	1360,0	0,0	1360,0
	სულ	57012,5	61541,8	64811,2	22368,0	42443,2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ათ.ლარი

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	11 245,6	14 883,6	- 1 001,6	- 2 690,9	1 689,3
მთლიანი სალდო	- 1 243,9	2 665,1	- 15 891,6	- 13 288,9	- 2 602,7



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 15920.4 ათასი ლარის ოდენობით.

ათ.ლარი

ფინანსური აქტივების კლება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	16 994,2	15 808,9	15 920,4	13 288,9	2 631,5
ვალუტა დეპოზიტები	16 994,2	15 808,9	15 920,45	13 288,9	2 631,5

განისაზღვროს და გაიწეროს 2026 წლის 1 იანვრისათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთის მოცულობიდან 18416.5 ათასი ლარის ოდენობით;

მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები:

- სპეციალური ტრანსფერი მიმდინარე ხარჯებისთვის განისაზღვრა 12 000,0 ათასი ლარი;
- დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრისთვის 27,2 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის 87,3 ათასი ლარი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის №1098 9/07/2025 საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე 443,6 ათასი ლარი.
- №1955 31/12/2024 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 613,6 ათასი ლარი.
- №2630 18/12/2019 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 308,4 ათასი ლარი.
- N1207 30/11/2025 წლის „ მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე გამოიყო კაპიტალური ტრანსფერი 15,9 ათასი ლარის ოდენობით.
- №2401 28/12/2023 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 0,4 ათასი ლარი;
- №302 30/07/2025 საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მიზნობრივი ტრანსფერის სახით განისაზღვრა 87,3 ათასი ლარით.
- №186 30/01/2025 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 1517,8 ათასი ლარი.
- N1604 30/09/2025 წლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 225,4 ათასი ლარი.
- N53 16/01/2025 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში “ ბოლნისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 14,1 ათასი ლარი.
- №746 30/05/2024 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 35,3 ათასი ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-28,8) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 28,8 ათასი ლარის ოდენობით

ვალდებულებების კლება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ბეგმა	მათ შორის		2026 წლის პროექტი	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	57,5	57,5	57,5	-	57,5	28,8	-	28,8
საშინაო	57,5	57,5	57,5	-	57,5	28,8	-	28,8

ბ) განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2025 წლის ბოლოსთვის 30,1 ათასი ლარის ოდენობით

კრედიტორები	ვალის ნაშთი 2026 წლის ბოლოსათვის
სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი	30,1
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	30,1

შენიშვნა: სესხის ფარგლებში განხორციელდა ორი ცალი კომპაქტორიან ნაგავშიდი მანქანის და ასი ცალი ნარჩენების კონტეინერის შესყიდვა (2017 წლის 13 მარტის №50 ხელშეკრულება)

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 1165,6 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის;-ს მიერ 2026 წელს განსახორციელებელი; სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის 290,2 ათასი ლარის ოდენობით;

ბ) დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით მიზნობრივი ტრანსფერი ბავშვთა მხარდაჭერისა 20.0 ათასი ლარი

გ) დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით მიზნობრივი ტრანსფერი პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებისთვის 175,4 ათასი ლარი

დ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მიზნობრივი ტრანსფერის სახით განისაზღვრა 680,0 ათასი ლარი.

2. N85 16/01/2026წ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში “ ბოლნისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 714,0 ათასი ლარი.

3. №102 16/01/2026 საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 7199,5 ათასი



თავი II

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება (კოდი 01 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 01 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება (კოდი 01 06)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
პროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობისადმი დადგენილი საკვალიფიკაციო ცოდნის სავალდებულო მინიმუმში კვალიფიკაციის ამაღლება, საჯარო მოხელეთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირება და მათ პროფესიული გადამზადება სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით. პროგრამის მიზანია საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესება და ეფექტიანობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.
საბოლოო შედეგი	
1. საჯარო მოხელეთა პროფესიული ცოდნის, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება-ამაღლება, მუნიციპალური მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და სამსახურში მათი დანერგვა გაუმჯობესებული მმართველობისთვის	

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა (01 09)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 01 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა (01 09)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება



პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის გაუმჯობესების, უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის, ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისთვის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა. საბჭოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ხელშეწყობისთვის საჭირო თანხით უზრუნველყოფა.</p> <p>ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებში და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო სემინარების, შეხვედრების, მრგვალი მაგიდების, ტრენინგების, კონფერენციების ჩატარება, საინფორმაციო კამპანიებისთვის საჭირო მასალების მომზადება (ბროშურები, ფლაერები, ვიდეორგოლები), თანასწორობის საკითხებზე კვლევების ჩატარება და სხვა; ასევე საინფორმაციო შეხვედრები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებთან დაკავშირებით, ქალთა ჩართულობა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით.</p> <p>პროგრამის მიზანია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა ყველა საზოგადოებრივ სფეროში (განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, პოლიტიკა და სხვა);</p>
საბოლოო შედეგი	
ქალებსა და მამაკაცებს ექნებათ თანაბარი შესაძლებლობები;	
ქალთა ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში (მათ შორის პოლიტიკაში, მმართველობაში და ბიზნესში..)	

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 02 01)



პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 02 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	მიუხედავად იმისა, რომ უკანსკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში გზების/ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული გზების/ქუჩების ნაწილი. პროგრამა ითვალისწინებს : გზების მშენებლობას, რეაბილიტაციას, მიმდინარე (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთებას; გზების ქვიშა-ხრეშოვანის მასალით მოწყობას; ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალურ შეკეთებას; გზებზე ასფალტ-ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავებას. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2026 წელს რეგიონული განვითარების ფონდით დაფინანსდება საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. პროგრამის მიზანია: მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელშეწყობისთვის მოსახლეობის გადაადგილების პირობების გაუმჯობესება და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლება.
საბოლოო შედეგი	
1. რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;	

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

(კოდი 02 02)

პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოსახლეობისა და მისი სტუმრებისათვის ესთეტიკურად მიმზიდველი, უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლუატაცია, სარწყავი არხების, საკანალიზაციო, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სარიტუალო სახლებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია.

სარწყავი სისტემების, არხების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) 2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სარწყავი სისტემების, არხების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული



	ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არსებული სარწყავი არხების გაწმენდა-შეკეთება და რეაბილიტაცია, სოფლის მოსახლეობისთვის სარწყავი წყლის მიწოდება. ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში სარწყავი წლის მომარაგების გამართვა და შეუფერხებლად მიწოდება მოსახლეობისთვის.
შუალედური შედეგი	
	ახალი სარწყავი სისტემების მოწყობა ან არსებულის რეაბილიტაცია .
	სტაბილური სარწყავი წყლის მიწოდება – გაიზრდება სარწყავი წყლის მიწოდების საიმედოობა და რეგულარობა.

სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები. (პროგრამული კოდი 02 02 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) 2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები. (პროგრამული კოდი 02 02 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება და რეაბილიტაცია, სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება და გამრიცხველიანება, რეზერვუარების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექცია; ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების გამართვასა და შეუფერხებლად უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდებას მოსახლეობისთვის.



შუალედური შედეგი

ახალი წყალმომარაგების სისტემების მოწყობა ან არსებული

ქსელების რეაბილიტაცია – გაუმჯობესდება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა.

წყლის ხარისხის გაუმჯობესება – მოსახლეობა მიიღებს

ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასმელ წყალს.

მუდმივი და სტაბილური წყლის მიწოდება – გაიზრდება წყლის მიწოდების საიმედოობა და რეგულარობა.

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02 03)

პროორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02 03)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკის სამსახური;
	დამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გზების, ქუჩების, ისტორიული ძეგლებისა და ტაძრების ფასადების, სკვერებისა და ბულვარების განათებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება . ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესება, გარე (ქუჩის, სკვერების, პარკების და სხვ.) განათების ინფრასტრუქტურის მოწყობის, რეაბილიტაციისა და ეფექტიანი ექსპლოატაციის გზით.

შუალედური შედეგი

გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

განახლებული ან ახლად მოწყობილი გარე განათების ქსელი.

ბინათმშენებლობა.(პროგრამული კოდი 02 02 06)



პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	(00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბინათმშენებლობა.(პროგრამული კოდი 02 02 06)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბინაო-საცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტში არის მრავალი ავარიული შენობები, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი სახლების შემცირებას. ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია/მშენებლობა, საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება, მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის; ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული ამორტიზებული ან ფუნქციურად პრობლემური შენობების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უსაფრთხო, ენერგოეფექტური და მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით.
შუალედური შედეგი	
რეაბილიტირებული და ფუნქციურად გამართული საზოგადოებრივი ან მუნიციპალური შენობები.	

რიტუალების სახლებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება. (პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	რიტუალების სახლებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს რიტუალური მომსახურების სააგენტო
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი რიტუალური სახლების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.	
	1. ბოლნისის ძველი სასაფლაოს დასუფთავება და მოვლა პატრონობა: ფართობი 6,4 ჰა, ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, ყოველდღიურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლაოებს შორის ტერიტორიის (1,2 ჰა) დასუფთავება, გავსებული ნაგვის კონტეინერების გატანა სასაფლაოს ტერიტორიიდან, სეზონურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლაოებს შორის ტერიტორიის (1,2 ჰა)



და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 300 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.). 10.სოფელ ხახალაჯვარის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესამდებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 300 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).11. სოფელ ბოლნისის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესამდებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 300 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).

პროგრამის მიზანია სასაფლაოების და რიტუალების სახლების მოვლა-შენახვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით, უზრუნველყოს მოქალაქეებისთვის ღირსეული და მოწესრიგებული გარემო დაკრძალვის რიტუალის ჩატარებისა და მიცვალებულთა ხსოვნის პატივისცემისთვის.

საბოლოო შედეგი
1. მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაოები და რიტუალების სახლები

სანიაღვრე სისტემების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 02 08)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სანიაღვრე სისტემების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 02 08)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორცილებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, კვეთის სიმცირის გამო. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე ქსელების წესრიგში მოყვანა.
შუალედური შედეგი	

1. რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემა.



კორპუსების მოვლა-პატრონობა (კოდი 02 02 10)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კორპუსების მოვლა-პატრონობა (კოდი 02 02 10)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ბოლნისის კორპუსი“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ ბოლნისის კორპუსის დაფინანსებას, რომლის საქმიანობაც მოიცავს შესაბამის ორგანოებთან ერთად და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტების და ამ სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშესაწყობად პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. ქვეპროგრამის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარების გზით, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, უსაფრთხოების და სანიტარული სტანდარტების დაცვა, ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
შუალედური შედეგი	
1. გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემო კორპუსებში	

ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება (კოდი 02 02 11)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება (კოდი 02 02 11)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს ბოლნისის აგროცენტრი



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროექტის კონკრეტული ამოცანები: ბოლნისის რეგიონალური აგრო-ბიზნესის კვანძად ჩამოყალიბების მიზნით ბიზნეს კლასტერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; მცირე და საშუალო საწარმოების და ინდივიდუალური მეწარმეების თანამშრომლობისა და კავშირების გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და რეგიონულ ბაზრებთან უკეთესად ხელმისაწვდომობის მიზნით;</p> <p>პროექტი მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: საწარმოო შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და ადგილობრივ წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის დასადგენად სრულყოფილი კვლევის განხორციელება, ასევე მიწოდების წყაროების იდენტიფიცირება, რეგიონული აგრო-ბიზნეს ლოჯისტიკური კვანძის ტერიტორიაზე პერიფერიული მომხმარებლების საქმიანი ინტერესების შეფასება; საჯარო-კერძო დიალოგისთვის მდგრადი არხების შექმნა და დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართვა გრძელვადიანი ინფორმაციის გაზიარებისა და კომუნიკაციის მექანიზმების შესანარჩუნებლად; აგროცენტრის ხელშეწყობით აგროწარმოებაში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესების დამხმარე შესაძლებლობებით(ხილ-ბოსტნეულის, ყველისა და სხვა ნაწარმის შეფუთვის და ღვინის ჩამოსხმის სერვისის მიწოდება); ფერმერებისა და ტურიზმის დარგში არსებული მეწარმეების დატრენინგება ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად; ყოველწლიურად 2 ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა/გაყიდვის მოწყობა. ჯამში მოეწყობა 4 გამოფენა/გაყიდვა.</p> <p>შპს „ბოლნისის აგროცენტრის“ მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში აგრობიზნესის კონკურენტუნარიანი განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკლასტერების ჩამოყალიბების, მცირე და საშუალო საწარმოთა თანამშრომლობის გაძლიერების, აგროწარმოების ეფექტურობის ზრდისა და რეგიონულ ბაზრებთან წვდომის გაუმჯობესების გზით.</p>
-------------------------------	---

საბოლოო შედეგი
1. ბიზნესის ლოჯისტიკური ცენტრისა და შესაბამისი კლასტერის ჩამოყალიბება- გაძლიერება;
2. გაიზრდება მეწარმეთა უნარ-ჩვევები ბიზნესის მართვაში ტრენინგების შედეგად.
3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება, შენახვა, შეფუთვა და გაყიდვა;

რიტუალების სახლებისა და სასაფლაოების მშენებლობა/რეაბილიტაცია (კოდი 02 02 12)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	რიტუალების სახლებისა და სასაფლაოების მშენებლობა/რეაბილიტაცია (კოდი 02 02 12)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული რიტუალების სახლებისა და სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ახალი ობიექტების მშენებლობასა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. ის ითვალისწინებს როგორც ძირითადი ობიექტების მოწყობას, ისე თანმდევი ინფრასტრუქტურის განვითარებას (სასაფლაოებზე გზა, წყალი, ელექტრომომარაგება, სანიტარული კვანძები, გალავნები, გარე განათება).</p> <p>პროგრამის მიზანი – შექმნას ღირსეული, მოწესრიგებული და ხელმისაწვდომი პირობები დაკრძალვის რიტუალების სრულფასოვნად განხორციელებისთვის და უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სასაფლაოებისა და რიტუალების სახლების ინფრასტრუქტურა.</p>
საბოლოო შედეგი	
1.	რეაბილიტირდება არსებული რიტუალების სახლები.
2.	მოწესრიგდება სასაფლაოების ინფრასტრუქტურა (შესასვლელები, გზა, წყალი, გალავანი).

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 03)

პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის კომფორტული და მიზიდველი, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების, შადრევნების მოვლა-პატრონობის და ინფრასტრუქტურული ნაწილის რეაბილიტაციის ღონისძიებები.

ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება(კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (კოდი 02 03)
---	---



ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ქუჩების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთებ; ქალაქის ინფრასტრუქტურული ნაწილის
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა.
შუალედური შედეგი	
ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;	

სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება(კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (კოდი 02 03)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭირო არსებული სკვერების და შადრევნების მოწყობა/რეაბილიტაცია, ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდება .
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ურბანული და რეკრეაციული სივრცეების განახლება და განვითარება, საზოგადოებისთვის ხარისხიანი დასვენებისა და ვიზუალური ესთეტიკის პირობების შექმნის მიზნით სკვერებისა და შადრევნების მოწყობითა და რეაბილიტაციით
შუალედური შედეგი	
მოეწყობა ახალი ან რეაბილიტირდება არსებული სკვერები და შადრევნები.	



ცენტრალური პარკის მოვლა (კოდი 02 03 03)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება(კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (კოდი 02 03)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ცენტრალური პარკის მოვლა (კოდი 02 03 03)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შ.პ.ს. ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“ , რომელიც ახორციელებს ბოლნისის ცენტრალური პარკის და დაბა კაზრეთის პარკის მოვლა-პატრონობას, ცენტრალური პარკის განათებას, მოსახლეობის სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სპორტულ- გამაჯანსაღებელი მომსახურების მიზნით სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ ლოკაციის მოწყობას, სკვერის დასუფთავებას, გამწვანების აქციებს, რაც გამოიხატება პარკების და სკვერის მწვანე ნარგავების (ხეები, ბუჩქები, გაზონები) განაშენიანებით, მოვლით, კეთილმოწყობით და დაცვით. ქვეპროგრამის მიზანი- უზრუნველყოს ცენტრალური პარკის და დაბა კაზრეთის გამართული, სუფთა და უსაფრთხო ფუნქციონირება, ეკოლოგიური მდგრადობის, საზოგადოებრივი რეკრეაციის და ტურისტული მიმზიდველობის ხელშეწყობის მიზნით.
შუალედური შედეგი	
პარკის ტერიტორია რეგულარულად მოწესრიგდება (დასუფთავება, მცენარეთა მოვლა, ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა).	
პარკი გახდება სოციალური აქტივობის ხელშეწყობის სანდო და სასიამოვნო სივრცე.	
სასტუმროს გამართული ფუნქციონირება	

მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 02 03 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება(კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (კოდი 02 03)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 02 03 06)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს ბოლნისის მუნიციპალური ტრანსპორტის სამსახური



	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსახლეობის შიდა გადაადგილების ხელმისაწვდომობისა და კომფორტის გაუმჯობესებას შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის შესაძლებლობით.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ამჟამად მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო ქსელი მოიცავს როგორც ქალაქ ბოლნისში, ისე სოფლებში მიმავალი რამდენიმე მარშრუტს. არსებული ავტობუსებისა და მიკროავტობუსების რაოდენობა ნაწილობრივ ფარავს მოქალაქეთა საჭიროებებს, თუმცა მოთხოვნა უფრო ხშირ და მრავალმხრივ ტრანსპორტზე იზრდება.
	ქვეპროგრამის მიზანია უზრუნველყოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით კომფორტული, ხელმისაწვდომი და რეგულარული გადაადგილება, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში, მათ შორის შორეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში.
შუალედური შედეგი	
1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიზრდება მუნიციპალური ტრანსპორტის რეისების (შეღავათიანი ტარიფით გადაადგილება) რაოდენობა როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში.	

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება. (პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსებულ ინიციატივას, რომლის მიზანია სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების საფუძველზე განსაზღვრული ადგილობრივი პროექტების განხორციელება. აღნიშნული პროექტები უმეტესად უკავშირდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, წყლის, გზების, განათების, საზოგადოებრივი სივრცეების ან სხვა სოციალური სერვისების გაუმჯობესებას.
	პროგრამა ეფუძნება მოსახლეობის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში — სოფლად იმართება კრებები, სადაც მოსახლეობა ირჩევს იმ პროექტებს, რომლებიც კონკრეტულ სოფელში უნდა განხორციელდეს.
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია – ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (სოფლად ძირითადი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის მიწოდების უზრუნველყოფა.)
საბოლოო შედეგი	



1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა (გზები, წყალსადენი, გარე განათება და სხვ.)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (კოდი 02 05)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. მათ შორისაა გზების, შენობა-ნაგებობების, სანიაღვრე სისტემების, სკვერების, პარკების, განათების, წყალსადენის, წყალარინების და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული ობიექტები.
პროგრამის აღწერა და მიზანი	ტექნიკურად გამართული, შინაარსობრივად სრულყოფილი და შესაბამის სტანდარტებზე მორგებული პროექტების მომზადება, მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას, ეფექტურად დაგეგმოს და განახორციელოს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის საჭიროებების შესაბამისად, მოამზადოს მაღალსტანდარტული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გახდება საფუძველი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის
საბოლოო შედეგი	
	1. მომზადდება მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურული ობიექტების სსდ (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია).

საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (კოდი 02 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას, რაც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ხარისხს, უსაფრთხოებას და მათ შესაბამისობას პროექტის დოკუმენტაციასა და მოქმედ კანონმდებლობასთან.</p> <p>ტექნიკური ზედამხედველობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები შესრულდეს ეფექტურად, ხარისხიანად და დროულად. ზედამხედველობის პროცესში ხდება სამუშაოების მოცულობის, მასალების შესაბამისობის, სამუშაოთა ტექნოლოგიური თანმიმდევრობის და პროექტთან შესაბამისობის კონტროლი.</p> <p>საზედამხედველო სამუშაოების დაფინანსება განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე.</p> <p>პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიანი შესრულება და მათი შესაბამისობა ტექნიკურ სტანდარტებთან, პროექტთან, და კანონმდებლობასთან.</p>
<p>საბოლოო შედეგი</p>	
<p>გაიზრდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი და გაუმჯობესდება მათზე პასუხისმგებლობის კონტროლი.</p>	
<p>შემცირდება ხარვეზიანი ან არასრულად შესრულებული პროექტების რიცხვი.</p>	

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, უპატრონო ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბეღვა, მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა.

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 01)

<p>პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა</p>	<p>დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)</p>
<p>პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 01)</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>შპს კომუნალური მეურნეობა</p>
	<p>მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდება ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს</p>



პროგრამის აღწერა და მიზანი	წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება დასახლებულ პუნქტებში ქვეწარმავლების დაჭერა – უსაფრთხო ადგილზე გაყვანის მომსახურება.
	პროგრამის მიზანი: უზრუნველყოს დასუფთავების ხარისხიანი და დროული განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც ხელს შეუწყობს კეთილმოწყობას, ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.
საბოლოო შედეგი	
	1. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ქუჩების დაგვა-დასუფთავება.
	4. გაჩნდება სუფთა და მოწესრიგებული გარემო;

ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება (კოდი 03 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	დასუფთავება და გარემოს დაცვა
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება (კოდი 03 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ბოლნისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა; სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გამხმარი ხეების მოჭრისა და გადაბეღვის სამუშაოების წარმოება. მეორეს მხრივ, ჯანმრთელი ხეების გადაბეღვითი სამუშაოები ხელს უწყობს მათი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას. პროგრამის ფარგლებში ხდება საშემე მერქანის დამზადება და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე დარიგება. ფოთლოვანი და წიწვოვანი ხემცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა.
	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება გარე იერსახის გალამაზება.
საბოლოო შედეგი	
გამწვანებული სივრცეების ფართობის ზრდა	

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგამანათლებლო სარეაბილიტაციო



ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ (კოდი 04 01 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	განათლება (კოდი 04 00); სკოლამდელი განათლება (კოდი 04 01)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ (კოდი 04 01 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება უწყვეტი განათლების სისტემის ჯაჭვის ის პირველი რგოლია, საიდანაც უნდა დაიწყოს განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაობა სრულ თანხვედრაში უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში უკვე დაწყებულია სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის პროცესი, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ყველა საბავშვო ბაღს უნდა მისცეს შესაძლებლობა წარმატებით ჩაერთოს 2030 წლამდე გადავადებულ ავტორიზაციის პროცესში; გარდამავალი პერიოდი გამოიყენოს დღეისათვის არსებული ყველა ხარვეზის გამოსასწორებლად და სრულ შესაბამისობაში იყოს სტანდარტების მოთხოვნებთან, რათა მოიპოვოს ავტორიზებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სტატუსი, შესაბამისად, მოიპოვოს ფუნქციონირების უფლება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია: მიღწეულ იქნას ხარისხიანი სკოლამდელ განათლებაზე თანაბარი საყოველთაო ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილ იქნას ინკლუზიური განათლება აღსაზრდელების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, აღსაზრდელების უსაფრთხოება და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა; გაგრძელდეს აღზრდელების გადამზადება „აღზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის შესაბამისად“, ასევე, სხვა მოდულების მიხედვით; მნიშვნელოვანია დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალის გადამზადება, რაც აუცილებელია მაღალი სტანდარტების ნიშნულის მისაღწევად. დაწესებულებას /03.01.2020/ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია“. მნიშვნელოვანია პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. იმისათვის, რომ თითოეულმა სკოლამდელი ასაკის ბავშვმა ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით-მიიღოს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ხარისხიანი სკოლამდელი განათლება- საჭიროა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებული ბაღების სრული კაპიტალური რეაბილიტაცია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით და საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვით იმისთვის, რათა გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის; ახალი ალტერნატიული სკოლამდელი განათლების დღის ცენტრების გახსნა იმ სოფლებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები და ამით აღსაზრდელების სასკოლო მზაობაში ხელშეწყობა. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ, როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვ.) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. ამიტომ ბავშვის მრავალმხრივი, ჰარმონიული და ჰოლისტური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკშივე ღირსეული და საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა. დღეისათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებების საშტატო ნუსხა ითვალისწინებს 367 საშტატო ერთეულს, მათ შორის: 12 მენეჯერი, 1 მენეჯერის მოადგილე, 110 აღზრდელი, 2 მეთოდისტი, 12 ლოგოპედი, 9 ფსიქოლოგი, 4 სპეც.მასწავლებელი, 3 კოორდინატორი აღსაზრდელებთან და მშობლებთან ურთიერთობის საკითხებში, 13 მუსიკის მასწავლებელი, 13 ექთანი, 56 აღზრდელის დამხმარე, 12 მზარეული, 3 მზარეულის მთ. დამხმარე, 20 მზარეულის დამხმარე, 11 საწყობის გამგე (მწე), 13 მეფოვე, 13 სანიტარი, 11 დამლაგებელი, 11 ტექნიკური სპეციალისტი, 2 დარაჯი, 6 მრეცხავი. 16 ადამიანი დასაქმებულია გაერთიანების ადმინისტრაციაში.</p> <p>პროგრამის მიზანი:</p> <ul style="list-style-type: none"> -სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო მომსახურების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება; -ყველა ბავშვისთვის, მათ შორის შშმ ბავშვებისთვის, თანაბარი სტარტის უზრუნველყოფა განათლების მიღებაში; -პედაგოგიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;



შუალედური შედეგი

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

2. ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდების გაზრდა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 04 03)

<p>პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა</p>	<p>განათლება (04 00)</p>
<p>პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა მიზნად ისახავს სწავლაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისთვის საჭირო სათანადო ინფრასტრუქტურული გარემოს უზრუნველყოფას. იგი ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: მოსწავლეთა ტრანსპორტირების ორგანიზება და სკოლების ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია.</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში მცხოვრები იმ მოსწავლეებისთვის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, რომელთაც სასწავლო დაწესებულებამდე გადაადგილება გართულებული აქვთ და რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა რეგულარულად სკოლაში დასწრებას და განათლებაზე თანაბარ წვდომას.</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ამავე დროს, პროგრამის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სკოლების ინფრასტრუქტურული განახლება და თანამედროვე სტანდარტებზე შესაბამისობა. რაც მოიცავს შენობების კაპიტალურ ან ნაწილობრივ მიმდინარე რემონტს.</p>
<p>პროგრამის მიზანია: მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და თანაბარი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რაც მოიცავს:</p> <p>ტრანსპორტირების უზრუნველყოფა – იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სკოლამდე შორს ცხოვრობენ, ორგანიზებული ტრანსპორტირების სერვისის შექმნა, რათა ყველა ბავშვმა შეძლოს სკოლაში დროულად და უსაფრთხოდ მისვლა და დაბრუნება.</p> <p>სკოლების რეაბილიტაცია – ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება, მათ შორის შენობების რემონტი, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შექმნას.</p>	

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებს, როგორც ქვეყნის მრავალმხრივი განვითარების ერთ – ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს, ბევრ სხვა სიკეთებთან ერთად მისი წილი ეკონომიკის ადგილობრივ დონეზე გაჯანსაღებაში არანაკლებ პატარა მოცულობისა შეიძლება გავხადოთ თუ მისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება მოხერხდება



თანამედროვე მიდგომებით, მაგ: შემოქმედებითი და სპორტული ინდუსტრიების შექმნა, როგორც დასაქმებისა და ტურიზმის განვითარებისათვის ეფექტური ხელშეწყობის ფაქტორი;

კულტურაზე ეფექტური ხელმისაწვდომობა, კულტურის კერების შექმნა და აღდგენა, სახელოვნებო განათლების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა.

ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა: ეკლესიების, მონასტრებისა და ციხე – სიმაგრეების რესტავრაცია – აღდგენის, მოვლა – პატრონობისა და სულიერების აღორძინებისათვის.

სპორტის, როგორც ზავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ეფექტური შესაძლებლობის დამკვიდრება და ხელშეწყობა, აგრეთვე მასობრივ სპორტზე მოსახლეობის მხრიდან ხელმისაწვდომობა, სპორტული კერების შექმნა და აღდგენა, სპორტული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა.

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრული პოლიტიკის განსაზღვრისა და სახვადასხვა თემატური აქტივობების განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროები ადგილობრივ დონეზე დაეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს:

კულტურისა და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;

მრავალფეროვანი კულტურული ტრადიციების დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით;

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა;

სპორტის სხვადასხვა სახეობის, საქართველოს ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობა;

სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა;

მწვრთნელ – მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია;

ახალგაზრდული ცენტრების შექმნა და მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა.

ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას. სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გონებრივი, სულიერი და ფიზიკური აღზრდის გზით ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება – პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.

ა(ა)ივ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი (კოდი 05 01 01 01)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)ივ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი (კოდი 05 01 01 01)



<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის;</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>
<p>ღონისძიების განმახორციელებელი</p>	<p>ააიპ. სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი.</p>
<p>ღონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ „სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის“ საქმიანობას წარმართავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში საქართველოს კონსტიტუციის, სახელმწიფოს მხრიდან სპორტის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“, რომელიც შესაბამისად ემყარება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიტარულ და კეთილშობილურ პრინციპებს, ისტორიულ გამოცდილებას, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან სპორტულ და კულტურულ ტრადიციებს.</p> <p>აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ ხელს უწყობს კომპლექსში გაერთიანებული ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ, გონებრივ, ინტელექტუალურ და კულტურულ განვითარებას, მათთვის მაღალხარისხოვან სასწავლო წვრთნებისა და შეკრებების ჩატარებას, ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე მონაწილეობას, საქართველოს ნაკრებ გუნდებისათვის სპორტული რეზერვების მომზადებას, სპორტსმენთა კონტიგენტის (ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდები) ზრდას და ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და გოგონათა რაოდენობრივ ზრდას და ჩართულობას აქტიური სპორტში. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ ხელს უწყობს კომპლექსში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის მაღალხარისხოვან სასწავლო წვრთნებისა და შეკრებების ჩატარებას, ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე მონაწილეობას, საქართველოს ნაკრებ გუნდებისათვის სპორტული რეზერვების მომზადებას, სპორტსმენთა კონტიგენტის ზრდას და ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, ღონისძიება თავის მხრივ ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე მწრვთნელთა მომზადებას და ლიცენზირებას, სპორტულ შეჯიბრებებზე მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას, სპორტსმენთა ეკიპირებას, მზავრობის, სასტუმრო მომსახურების, კვების და სხვა საჭირო ხარჯების გაწევას. ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სწორი მმართველობის პრინციპებით შიდა მენეჯმენტის ხარისხის დონის ამაღლება, ორგანიზაციის წესდებისა და სტრუქტურული მოწყობის სრულყოფა, თავის საქმიანობაში საჯაროობის, გამჭვირვალობის, დემოკრატიული მმართველობის, შიდა ანგარიშების სისტემის განვითარება, თანამშრომელთა პასუხისმგებლობის ამაღლება, რაც მაქსიმალურად გაზრდის ორგანიზაციის ლეგიტიმურობას და საქმიანობას სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია (რეკლამა და პიარი), ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასთან, დოპინგთან, ძალადობასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა.</p> <p>ღონისძიების მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტული განათლების ხელშეწყობა, მოქალაქეების ფიზიკური აქტივობის გაუმჯობესება და მასობრივი სპორტის განვითარება.</p>
<p>შუალედური შედეგი</p>	
<p>ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები, ტურნირები და სპორტული ოლიმპიადები</p>	
<p>სპორტის არსებული სახეობების პოპულარიზაცია, სპორტის ქართული ეროვნული სახეების აღდგენა</p>	
<p>სპორტსმენების სამხარეო, საქართველოს და საერთაშორისო შეჯიბრებებზე წარმატებული ასპარეზობა</p>	

ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ (კოდი 05 01 01 02)

<p>პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც</p>	<p>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)</p>
---	--



ხორციელდება ღონისძიება	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ (კოდი 05 01 01 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>საქართველო მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების მქონე ქვეყანაა და ამიტომაც სპორტის აღნიშნული მიმდინარეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტშიც წლიდან წლამდე მზარდი პოპულარობით სარგებლობს ფართო საზოგადოებაში, მომავალ თაობაში კი ერთ-ერთ მიმზიდველ სპორტულ სახეობადაა წარმოდგენილი. ჭადრაკი არის ინტელექტუალური თამაში, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები და ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციისა და თვითშეფასების უნარების ჩამოყალიბებასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვის ამბიციის გაჩენას ბავშვებსა და მოზარდებში. საჭადრაკო სკოლა „ნონა“ ემსახურება ჭადრაკის პოპულარიზაციასა და მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას ჭადრაკის სექციებში. საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის მაღალი კვალიფიციური სპორტული რეზერვის მომზადება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება და წარმატებულ გამოსვლა სასკოლო შეჯიბრებზე სკოლის სამუშაო გეგმის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება კი ჭადრაკის განვითარებისთვის უმთავრესი ფაქტორია, რასაც სკოლის მხრიდან ყურადღება ეთმობა.</p> <p>ღონისძიების მიზანია ჭადრაკის სწავლისა და თამაშის საშუალებით ახალგაზრდებში ლოგიკური, ანალიტიკური და სტრატეგიული აზროვნების განვითარება და ჭადრაკის როგორც სპორტის, ასევე საგანმანათლებლო კულტურის ხელშეწყობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში;</p>
შუალედური შედეგი	
ადგილობრივი ახალგაზრდების დაინტერესება ჭადრაკით და მათი რეგულარული ჩართულობა.	
სკოლის პროგრამებში თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა.	
ტურნირებში მონაწილეობა და შედეგების გაუმჯობესება.	

ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“ (კოდი 05 01 01 03)



პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“ (კოდი 05 01 01 03)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“.
ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქართული რაგბის განვითარება კვლავ ინარჩუნებს თავის ძირითად მიზანს, რაც გულისხმობს ქვეყანაში რაგბის შემდგომ განვითარებას და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული რაგბის ღირსეულად წარმოჩენას. ბავშვთა რაგბის განვითარების ეგიდით მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდა, ქართველებთან ერთად მცხოვრები სხვა ეთნიკური წარმომავლობის ბავშვთა და მოზარდთა ინტეგრაციას. კლუბი უზრუნველყოფს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სპორტული ვარჯიშების ორგანიზებას, ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენას, განვითარებას და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბებას და მათ მონაწილეობას სრკ ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში. ღონისძიების მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში რაგბის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრება.
შუალედური შედეგი	
ახალგაზრდების ჩართულობა რაგბში.	

ფეხბურთის განვითარება (კოდი 05 01 01 04)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ფეხბურთის განვითარება (კოდი 05 01 01 04)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	შპს საფეხბურთო სკოლა სიონი
ღონისძიების აღწერა და მიზანი	შპს „საფეხბურთო სკოლა სიონი“ -ში ჩამოყალიბებულია 11 ასაკობრივი გუნდი, რომლის სტრუქტურაშიც ირიცხება დაახლოებით 300 ახალგაზრდა ადგილობრივი ფეხბურთელი. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა ფეხბურთში თანამედროვე მეთოდის დანერგვა, ნიჭიერი მოზარდი ფეხბურთელების გამოვლენა და დახმარება, მყარი ბაზისის შექმნა მოზარდებს შემდგომში ხელშეწყობს პროფესიულად ღირსეული ცვლის მომზადებაში , ბავშვების მომავალი თაობის



სოციალურად აქტიურ მოქალაქეებად და ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში.

ღონისძიების მიზანია ახალგაზრდული საფეხბურთო სექტორის განვითარება. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია.

შუალედური შედეგი

ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები

ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა (კოდი 05 01 01 05)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა (კოდი 05 01 01 05)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა.
ღონისძიების აღწერა და მიზანი	ძიუდოს სკოლა გეგმავს და ახორციელებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მომავალი თაობის სპორტული სახეობებით - ძიუდო, სამბო და ქართული ჭიდაობით დაინტერესებას. ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის გამართული გარემო პირობების შეთავაზებას, მათთვის განსაზღვრავს და ორგანიზებას უკეთებს ეფექტური სასწავლო წვრთნებისა და შეკრებების ჩატარებასა და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებს გამართვას. აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებსა და ტურნირებზე მონაწილეობას, საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის კონკურენტუნარიანი რეზერვის მომზადებას. ზრუნავს ქალთა და ვაჟთა სპორტის თანაბრად განვითარებას და ხელმისაწვდომობას. ღონისძიების მიზანია მომავალი თაობის თავისუფალი დროის ფიზიკური აღზრდითა და სპორტული აქტივობებით შევსება, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ძიუდოსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია .
შუალედური შედეგი	
ადგილობრივი ახალგაზრდების დაინტერესება ძიუდოთი და მათი რეგულარული ჩართვა.	
ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებები და ტურნირები	

სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა და მოწყობა (კოდი 05 01 02 01).

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)



პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა და მოწყობა (კოდი 05 01 02 01).
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული შენობა-ნაგებობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, სპორტის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც გულისხმობს არსებული და მშენებარე სპორტის ობიექტების ადაპტაციას მათ საჭიროებებთან.</p> <p>სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება და ეფექტური მართვა სათანადო პირობებს ქმნის მაღალი ხარისხის სპორტისმიერი პროდუქტისა და მომსახურების შექმნისა და მიწოდებისთვის, სპორტული ფასეულობების შენარჩუნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.</p>

ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური (კოდი 05 01 02 02).

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური (კოდი 05 01 02 02).
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური.
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ღონისძიების ფარგლებში ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება 4 სტადიონის, 14 სპორტული მოედნის და შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა. სამსახურის უმთავრეს საზრუნავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საფეხბურთო სტადიონებზე და სხვა მუნიციპალურ სპორტულ მოედნებზე ადგილობრივი და საერთაშორისო ტურნირების და თამაშების, სპორტული ფესტივალების ჩატარების ხელშეწყობასთან ერთად ცენტრალური სტადიონის მინდვრის საფარის გადათესვა და ტრიბუნებზე სავალი ბილიკების, საშხაპეებისა და საპირფარეოების შეკეთებას წარმოადგენს.</p> <p>ღონისძიების მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული სტადიონების, სპორტული მოედნების მოვლა და მდგრადი მართვა.</p>



შუალედური შედეგი

სტადიონების და სპორტული მოედნების გამართული ფუნქციონირება და კეთილმოწყობა.

სპორტული ფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 02)

პროგრამის მიზანია ბოლნისში მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია; კულტურული ტრადიციების დაცვისა და განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, შესაბამისად განხორციელდება სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების გამართვისათვის მხარდაჭერა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია. კულტურულ – საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.

ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი (კოდი (05 02 01 01)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა,ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 02) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი (კოდი (05 02 01 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი.
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი მოღვაწეობის მანძილზე მდიდარ ისტორიას მოიცავს.ადგილობრივი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს მრავალფეროვან და დატვირთულ ცხოვრებას. დასში ადგილობრივი ნიჭიერი ადამიანები არიან დასაქმებულები და პროფესიულ დონეზე ქმნიან მაღალი ხარისხის შემოქმედებით პროდუქციას. 2026 წლის სამუშაო გეგმა გულისხმობს აღვადგინოთ და შევინარჩუნოთ სპექტაკლების ის ნაწილი რომელიც მაცურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს და დაიდგას ახალი სპექტაკლები, სხვადასხვა რეჟისორების მიერ, რათა მივიღოთ მრავალფეროვანი-ყველა ასაკისათვის მისაღები და ხარისხიანი პროდუქცია. 2026 წლის სტრატეგიული გეგმა: წარმოებაში ერთდროულად ჩაემვას ოთხი სპექტაკლი, ასევე, ორ ურთიერთგანსხვავებულ ჟანრის სპექტაკლს სახვასადხვა რეჟისორი წარმოადგენს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად, ამასთანავე, ორი სპექტაკლის აღდგენა, ოთხი გაცვლითი საგასტროლო ჩვენება (ქვეყნის შიდა მანქაბი), საბავშვო ზღაპარი ს/ს ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით. სპექტაკლებში განაწილებული იქნება დასის ყველა წევრი და მოწვეული იქნება დამატებითი არტისტები, რეჟისორების მოთხოვნების მიხედვით.</p> <p>ღონისძიების მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია და კულტურული ცხოვრებისა ხელშეწყობა;</p>
შუალედური შედეგი	

თეატრალური წარმოდგენების რეგულარულად დადგმა და ჩატარება.



ააიპ „ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ (კოდი 05 02 01 02)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(კოდი 05 02) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ „ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ (კოდი 05 02 01 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
ღონისძიების განმახორცილებელი	ა(ა)იპ – ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ღონისძიება ითვალისწინებს სახელოვნებო განათლების ხელშეწყობას, კერძოდ, ბავშვებსა და მოზარდების მუსიკის როლის გაზრდას – საფორტეპიანო (შვიდწლედ) და კლასიკური გიტარის სწავლებას. სამუსიკო სკოლა, გარდა ქ. ბოლნისისა, ფილიალის სახით ფუნქციონირებს დაბა კაზრეთშიც. სკოლაში ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც საზოგადოებას თავის მიღწევებს აჩვენებენ შემაჯამებელი და საანგარიშო გაკვეთილებითა და კონცერტებით, აგრეთვე მათ, აღსაზრდელების რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში ინტენსიური და წარმატებული მონაწილეობით, სკოლის კურსდამთავრებულების უმაღლეს საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებითა და უნარებით. განსაზღვრავს და სწავლობს საზოგადოების დამოკიდებულებებსა და მოთხოვნებს სახელოვნებო განათლების, კერძოდ, სამუსიკო სკოლაში არსებული კლასების გარდა, სხვა მუსიკალური დისციპლინების – ინსტრუმენტების სასწავლო კლასების აღდგენა- დაფუძნების შესახებ საჭიროებებს. სამუსიკო სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება წლის საღონისძიებო გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილია წლის აქტივობები: მუსიკალური, საღამოები, შეხვედრები, ფესტივალები, კონკურსები, საჩვენებელი გაკვეთილები, დახურული და ღია კონცერტები, გასტროლები და სხვა. როგორც სკოლის შიდა, აგრეთვე რეგიონალური, ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე, სკოლის მოსწავლეთა ინდივიდუალური და საგუნდო შემსრულებლების მონაწილეობის თვალსაზრისით. სამუსიკო სკოლა, განვითარების ახალი კონცეფციის ხედვების დოკუმენტის შექმნისთვის პერიოდულად ეწევა მშობლების, პედაგოგების, სამოქალაქო საზოგადოების, მუსიკის მოყვარული წევრებისა და სპეციალისტების შეკრებას და აკომპლექტებს სამუშაო ჯგუფს, რომელიც სწავლობს საზოგადოების აზრსა და შეხედულებებს, შესაბამისად შეიმუშავებს კონკრეტული სამომავლო-სამოქმედო გეგმებს, სადაც დეტალურადაა გაწერილი ის საჭიროებები, რომელიც მნიშვნელოვანია სამუსიკო სკოლის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოდერნიზაციისათვის, შემდგომში სკოლის მიმართ ინტერესის კიდევ უფრო გაზრდისა და ცნობადობის აწევის მიზნით, სკოლის მიზიდვლობის დახვეწისა და შემდგომი სასწავლო – შემოქმედებითი პროცესის ეფექტურად წარმართვისა და წარმატებული მოღვაწეობისათვის. პერმანენტულად ხდება სამუსიკო სკოლაში არსებული სასწავლო მეთოდოლოგიის გადახალისება – დახვეწა, საფორტეპიანო და საგუნდო მიმართულებების განვითარებისთვის თვისობრივად ახალი ტენდენციების დანერგვა და სხვა სამუსიკო კლასების – სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების სასწავლო კლასებზე ხელმისაწვდომობის დანერგვისათვის საჭიროებების განსაზღვრა, საკითხის უზრუნველყოფისათვის კი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და კონკრეტული გეგმის შემუშავება.</p> <p>ღონისძიების მიზანია საზოგადოებაში მაღალი მუსიკალური კულტურის დანერგვა.</p>

ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00) კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(კოდი 05 02) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი



გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ღონისძიების განმახორციელებელი

ა(ა)იპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

ღონისძიების აღწერა და მიზანი

კულტურის ცენტრი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ზოგადი განვითარებისა და მისი საუკეთესოდ წარმოჩენის საქმეში ერთ – ერთ უმთავრეს როლს თამაშობს და ხშირ შემთხვევაში სავიზიტო ბარათის როლსაც ითავსებს.

კულტურის ცენტრის განვითარების საკითხები მუდმივი განსჯის საგანს წარმოადგენს ადგილობრივი მმართველი ორგანოსათვის და ერთ – ერთი უმთავრესი პრიორიტეტული ზრუნვის მიმართულებაა, რომელიც მუდამ შეესაბამება შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის განხორციელებული ან მიმდინარე დაგეგმილი და დასაგეგმი მხარდამჭერი ღონისძიებებით.

ღონისძიება ითვალისწინებს კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურისა, ხელოვნების და ახალგაზრდული სათემოს ობიექტებისა და დაწესებულებების (8 – სასოფლო და 3 – ქალაქის ბიბლიოთეკა, 2 – მუზეუმი, 3 – კულტურის სახლი, 2 – სასოფლო კლუბი, 6 – ახალგაზრდული სათემო) მოვლა პატრონობას. კულტურის ცენტრი აღწერს ობიექტების მატერიალურ – ტექნიკური ბაზის (შენობა – ნაგებობები, აღჭურვილობა, ინვენტარი, რეკვიზიტი) მდგომარეობას და განსაზღვრავს გადახალისება – გაახლებისა და შექმნის, რეკონსტრუქცია – რემონტის, აღდგენითი და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ საჭიროებებს, რომელსაც წარუდგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას განხილვისათვის, გარდა ამისა ცდილობს მოიზიდოს ფინანსური რესურსი სხვადასხვა კერძო ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების გზით.

კულტურის ცენტრის ფუნქციონირების მთავარ სტრატეგიულ ხაზს წარმოადგენს – კულტურული მემკვიდრეობის, სახელოვნებო განათლებისა და პროფესიული ხელოვნების, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო და საღონისძიებო, ახალგაზრდული ღონისძიება-აქტივობების მიმართულებები:

ა) კულტურული მემკვიდრეობის მოვლა პატრონობისა და დაცვის სეგმენტში ქვეყნის მთავარ შესაბამის უწყებებთან- კულტურის სამინისტროსთან, სააგენტოსთან, ეროვნულ მუზეუმთან, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე მერიის შესაბამის სამსახურთან და ბოლნისის ეპარქიის წინამძღოლთან კულტურის ცენტრი ცდილობს შექმნას ეფექტური თანამშრომლობისა და ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების სტაბილური ტენდენციები. ისტორიულ ძეგლებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მისასვლელულებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მომსახურების სერვისის თანამედროვე ხედვების განსაზღვრა, ჩამოყალიბება და გაუმჯობესებისათვის წარდგენა დაინტერესებული სტრუქტურებისადმი შემდგომი განხილვებისა და რეაგირებისათვის.

ბ) სახელოვნებო მიმართულების ნაწილში კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს პროფესიული – სახელოვნებო და ბავშვთა და მოზარდთა სახელოვნებო სწავლების სექციები. პროფესიული დასები კომპლექტდება ბავშვთა და მოზარდთა სახელოვნებო წრეებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდეგ, სადაც პროფესიონალურ დონეზე აგრძელებენ მსახურებას, რის შედეგადაც მოკრძალებული წვლილი შეაქვთ მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან საქმეში და ქმნიან კულტურული ცხოვრების საინტერესო პალიტრას. პროფესიული ნაწილის წარმომადგენლები იღებენ შრომის ანაზრაურებას ხელფასის სახით, ხოლო ბავშვთა და მოზარდთა სეგმენტში სწავლება და ცოდნის შექმნა ფასიანია, საიდანაც კულტურის ცენტრის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლების პროფილით ირიცხება და ხმარდება კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების საქმეს.

გ) საგანმანათლებლო სეგმენტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების, აგრეთვე კულტურის სახლების სხვადასხვა შინაარსისა და დატვირთვის მქონე სფეროების გამართულ მუშაობას, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, აგრეთვე ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემოსულ ვიზიტორთა მიმართ მაღალ დონეზე მომსახურების თვალსაზრისს, საამისოდ კი კულტურის ცენტრი სხვადასხვა სახის თანამედროვე სტანდარტების ეფექტური მექანიზმებისა და სერვისების შექმნასა და ჩამოყალიბებაზე ფიქრობს და შესაბამის ხედვებსა და წინადადებებს შემუშავებს.

დ) დაწესებულების შიდა და მუნიციპალურ ღონისძიებებს, დაკისრებული პასუხისმგებლობის, კომპეტენციისა და შესაბამისი რესურსის გამოყენების ფარგლებში უზრუნველყოფს კულტურის ცენტრი.

ე) ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს 6 ახალგაზრდული სათემო – სადაც ხორციელდება სპორტულ-კულტურული, შემეცნებით-ინტელექტუალური, ინტერაქტიული აქტივობები ასევე: ჯანსაღი ცხოვრების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების, განათლების მნიშვნელობისა და საჭიროების, სახელმწიფოს შენებაში ახალგაზრდების ჩართულობისა და მისი მნიშვნელობის აქტიური პროპაგანდა; მოხდება ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ეთნიკურად მრავალფეროვან მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მეტად დაახლოებას და მათ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ააიპ კულტურის ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, კერძოდ, სოფელ ბოლნისის ბიბლიოთეკა, რომლის ბენეფიციარებიც ეროვნებით სომეხი



ბავშვები და მოზარდები არიან. კულტურის ცენტრი ხელს უწყობს შშმ პირებს დასაქმებაში და თავიანთი უნარ-ჩვევების განვითარებაში, კერძოდ, ცენტრში დასაქმებულია 2 შშმ პირი, მათ შორის: 1 გოგო საბიბლიოთეკო სექტორში და 1 ბიჭი ქ. ბოლნისის კულტურის სახლში. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სახისა და შინაარსის კულტურული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი არაერთი ღონისძიება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღონისძიებების გაფართოების, გამრავალფეროვნებისა და დახვეწის ფორმები და ზოგადად კულტურული ცხოვრების დონის გაუმჯობესება მუდმივად საჭიროებს დამატებით ხელშეწყობას, რადგან ყველასთვის კარგად ცნობილია კულტურული აქტივობების მნიშვნელობა და მრავალმხრივი შინაარსობლივი დატვირთვა, თუ რა როლს თამაშობს საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფის სულიერი და ესთეტიკური განვითარებისა და მათში ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც, თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ორგანიზაცია – კულტურის ცენტრი პროფესიონალურ/კვალიფიციურ დონეზე, კვლევებზე დაყრდნობითა და საზოგადოებრივი განწყობების შესწავლის ხარჯზე, განსაზღვრავს მოქნილი და თანამედროვე ტენდენციებზე მორგებულ იმ დარგებისა და სფეროების საჭიროებებს, რაც მრავალმხრივ ხელშეწყობი ფაქტორი გახდება განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი საყურადღებოა შემოქმედებითი ინდუსტრიების შექმნა, რომელიც მუნიციპალიტეტის ეკონომიკის გაჯანსაღებაში კულტურისა და ხელოვნების წილის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

ღონისძიების მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და მასშტაბურობა. მომავალი თაობის სულიერი და ესთეტიკური აღზრდა. ახალგაზრდული საქმიანობის, ახალგაზრდების ინიციატივებისა და ინტერესების ხელშეწყობა.

შუალედური შედეგი
1. კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა (კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტებისა და სხვა თემატური აქტივობების განხორციელების გზით)
2. მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
3. ახალგაზრდული საქმიანობის, ახალგაზრდების ინიციატივებისა და ინტერესების ხელშეწყობა;

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (კოდი 05 03)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურული ღონისძიების დაფინანსება (კოდი 05 03)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების დამყარებას, შენარჩუნებისა და გაღრმავების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნებასა და ჩატარებას, აგრეთვე ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა წარდგენას და მონაწილეობას, თეატრალური ხელოვნებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულებებში როგორცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო, ლიტერატურა, საგამომცემლო, ამასთანავე სხვა მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო დარგებსა და საქმიანობაში ყველა თაობის ხელოვანების ხელშეწყობა და სხვა.
	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში



კულტურული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და მასშტაბურობა.

საბოლოო შედეგი

1. მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრება; საზოგადოების ფართო მასების ჩართულობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში; კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებში მოტივაციის ამაღლება;

ეპარქიის დაფინანსება (კოდი 05 04)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ეპარქიის დაფინანსება (კოდი 05 04)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	ადმინისტრაციული სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა – ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ აღორძინებაში. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების, ციხე – სიმაგრეების შენარჩუნება, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ადგილობრივი მდიდარი წარსულის საუკეთესო მტკიცებულების უტყუარი ნიმუშის გამოხატულება, მისი შეთავაზების მხარდაჭერა ფართო საზოგადოებისთვის, ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის, როგორც სულიერების, აგრეთვე კულტურული, რელიგიური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ტურისტული კერებისა.
საბოლოო შედეგი	
1. ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა – ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ აღორძინებაში.	

საგამომცემლო საქმიანობა (კოდი 05 05)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საგამომცემლო საქმიანობა (კოდი 05 05)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16: შვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე



პროგრამის განმახორციელებელი	შპს გაზეთი ბოლნისი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს შპს „გაზეთ ბოლნისის“ დაფინანსებას ფუნქციონირებისთვის, რომელიც ახორციელებს, ახალი ამბების და ბოლნისის მუნიციპალიტეტში პრობლემური და სხვა მიმდინარე მოვლენების საკითხების კვლევას, შესწავლასა და ანალიზს, საზოგადოებისთვის პრიორიტეტული საჭიროებების გამოკვეთას, ადგილიდან რეპორტაჟების, რუბრიკებისა და სხვადასხვა საინფორმაციო პროდუქტების საშუალებით გაშუქებას. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჟურნალისტური საქმიანობისა და მედია საშუალების ხელშეწყობა, ინფორმაციის მოპოვებისა და მიწოდების ეფექტურობა, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამის მიზანი: საგამომცემლო საქმიანობის განვითარების გზით ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა, მიმდინარე მოვლენებზე მოსახლეობის სწრაფი და სრულყოფილი ინფორმირების ხელშეწყობის მიზნით.</p>
საბოლოო შედეგი	
1. მოსახლეობის ინფორმირებულობა	

განცხადება, რეკლამა და საეთერო დრო (პროგრამული კოდი 05 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	განცხადება, რეკლამა და საეთერო დრო (პროგრამული კოდი 05 06)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა მიმდინარე მოვლენებზე.</p>
საბოლოო შედეგი	
1. მოსახლეობის სიახლეებით ინფორმირებულობა	

წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება

(კოდი 05 07)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)
--	---



პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება (კოდი 05 07)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტების წახალისებას, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე). წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((B) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე). აგრეთვე სპორტსმენები, რომლებიც გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან:</p> <p>ა) სპორტის სხვადასხვა სახეობაში საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები და საქართველოს ნაკრების წევრები დიდებსა და ახალგაზრდებში – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები – 100 (ასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.</p> <p>ერთჯერადი ფულადი ჯილდო გაიცემა სპორტსმენებზე, რომლებიც გახდებიან:</p> <p>ა) ოლიმპიური ჩემპიონები – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) ოლიმპიური პრიზიორები (II ადგილი) – 8 000 (რვა ათასი) ლარი, (III ადგილი) – 6 000 (ექვსი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩემპიონები – 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ) ახალგაზრდული ოლიმპიადის პრიზიორები: (II ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ე) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიოს ჩემპიონები – 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p> <p>ვ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები, (II ადგილი) – 4000 (ოთხი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p> <p>ზ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიოს ჩემპიონები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი</p>



ასაკობრივ ჯგუფში – 8 00 (რვასი) – ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ

დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

ს) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს რეიტინგული ჩემპიონატის პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, (II ადგილი) – 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, (III ადგილი) – 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);

ტ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის ჩემპიონები

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, პრიზიორებზე – 300 (სამასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 300 (სამასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო).

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის მიმდინარე წლის „ეტალონის“ ბოლნისის ეტალონ მოსწავლეს მიეცემა

სტიპენდია ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით მიმდინარე წლის განმავლობაში.

მიზანი: წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების მხარდაჭერა ფულადი დახმარების გზით, მათი მოტივაციის გაზრდისა და განათლებაში, სპორტში ან სხვა მიღწევებში წარმატების გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით.

საბოლოო შედეგი

1. ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მოტივირება, მხარდაჭერა და წახალისება;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა (კოდი 05 09)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ახალგაზრდობის მხარდაჭერა (კოდი 05 09)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდობა ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული და სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ისინი არიან ცვლილებების კატალიზატორები და ამ პროცესის მთავარი მოთამაშეები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა და წახალისება, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე საერთაშორისო დონეზე. ახალგაზრდების განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად და მათ მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებების ცოდნა, აღნიშნულზე მორგებული სამოქმედო გეგმის არსებობა და გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.
	პროგრამის მიზანი: ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის, განათლების და



შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისა და პიროვნული თვითრეალიზაციის ხელის შესაწყობად.

საბოლოო შედეგი

ახალგაზრდების გააქტიურება

ახალგაზრდებში უნარებისა და კომპეტენციების განვითარება

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან

ჯანდაცვის პროგრამები (კოდი 06 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (კოდი 06 00) ჯანდაცვის პროგრამები. (კოდი 06 01)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ჯანდაცვის პროგრამები. (კოდი 06 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჯანდაცვის პროგრამა მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას პრევენციული, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების გზით. პროგრამა მოიცავს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, დაავადებათა პრევენციას, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.</p> <p>პროგრამის მიზანი: საზოგადოების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს დაავადებების შემცირებას და სიცოცხლის ხარისხის ამაღლებას</p>
საბოლოო შედეგი	

1. გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე.

2. გაიზარდა პრევენციული ღონისძიებების მასშტაბი.

3. ცნობიერების ამაღლება ჯანმრთელობის საკითხებზე.



ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. (კოდი 06 01 01 01)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (კოდი 06 00) ჯანდაცვის პროგრამები. (კოდი 06 01) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა. (კოდი 06 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. (კოდი 06 01 01 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
ღონისძიების აღწერა და მიზანი	ღონისძიების აღწერა – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება. COVID-19-ის დაავადების დროული გამოვლენა, გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადების ენდემური გავრცელების შენარჩუნება მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენა და მასზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, დაკბენილი (ცოფის რისკის ექსპოზიცია) მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის ხელშეწყობა, შესაბამისი უწყებების პერიოდულად ინფორმაციის განახლება, კოვიდ საწინააღმდეგო და გეგმიური ვაქცინაციის მოცვის გაუმჯობესება და ხელშეწყობა. ღონისძიების მიზანი – ბოლნისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებათა ხელშეწყობა და უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის დონეზე
შუალედური შედეგი	
1. შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების დროული აღრიცხვა, კონტროლის და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, აღრიცხული შემთხვევების მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი ენდემური რაოდენობის შენარჩუნება, მულტისექტორული თანამშრომლობა.	
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 0-15 წლის ასაკის მოსახლეობაში რუტინული (გეგმიური) ვაქცინაციის მოცვის ზრდა და მართვადი ინფექციების მინიმუმადე დაყვანა, ლიკვიდაცია; ასევე, სახელმწიფო პროგრამების ვაქცინაციის და სკრინინგის (საშვილოსნოს ყელის სკრინინგი, ინტეგრირებული სკრინინგი) პროგრამების ადვოკატირება და პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა	
3. ეპიდ-ჩვენებით რეკომენდირებული ვაქცინაციის მოცვის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამით მოწოდებული ვაქცინების ფარგლებში.	



სადერატიზაციო, სადებინსექციო და სადებინფექციო სამუშაოები (კოდი 06 01 01 02)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00) ჯანდაცვის პროგრამები (კოდი 06 01) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სადერატიზაციო, სადებინსექციო და სადებინფექციო სამუშაოები (კოდი 06 01 01 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
ღონისძიების განმახორციელებელი	შპს „დეზ-ეფექტი“
ღონისძიების აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი სადერატიზაციო (მაგნე მღრნელების წინააღმდეგ) , სადებინსექციო (მაგნე მწერების წინააღმდეგ) და სადებინფექციო სამუშაოების განხორციელების ფარგლებში შესრულდეს სადერატიზაციო, სადებინსექციო და სადებინფექციო სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემავალ საბავშვო ბაღებში, ორგანიზაცია დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ შენობებში, ქ.ბოლნისის ნაგვისშემკრებ ბუნკერებზე, დაბა კაზრეთის ნაგვის შემკრებ ბუნკერებზე, ქ.ბოლნისისა და დაბა კაზრეთის დასასვენებელ სკვერებში, მუნიციპალური ტრანსპორტში. ღონისძიების მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანსაღი და უსფრთხო გარემოს შექმნა.
შუალედური შედეგი	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია.	
ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამით გათვალისწინებულ ობიექტებში სადერატიზაციო, სადებინსექციო და სადებინფექციო სამუშაოების შესრულება.	

სოციალური პროგრამები (კოდი 06 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალური პროგრამები (კოდი 06 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; შიმშილის აღმოფხვრა; ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.
	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების



გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
პროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისათვის (შშმ. პირები, ხანდაზმულები, მარტოხელა მშობლები, ბავშვები, უკიდურესად შეჭირვებული ბავშვანი ოჯახები, ონკოლოგიური, ქრონიკული თუ შეუქცევადი დაავადებებით დაავადებული ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული პირები, ვეტერნები, ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარები და ა. შ.) გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სტუდენტთა სოციალურ დახმარებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი, შეჭირვებული, შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა, მათთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგი	
1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება	

ქრონიკული დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ქრონიკული დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 01)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრონიკული დაავადებებით



	დაავადებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა. პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა მომსახურებას როგორცაა კერძოდ: ა) ეპილეფსია; ბ) პარკინსონი; გ) ბრონქიალური ასთმა; დ) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქცია;
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ე) ონკოლოგიური დაავადებები; ვ) შიზოტოპიური აშლილობა;
	პროგრამის მიზანი : ქრონიკული დაავადებების მქონე ბენეფიციარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აუცილებელ მედიკამენტებზე, რათა შემცირდეს გართულებები, გაუმჯობესდეს მკურნალობის მიმდევრობა და გაიზარდოს სიცოცხლის ხანგრძლივობა და ხარისხი.

შუალედური შედეგი	
1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;	

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების ყოველთვიური მატერიალური დახმარება (კოდი 06 02 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. სოციალური პროგრამები (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების ყოველთვიური მატერიალური დახმარება (კოდი 06 02 02)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო , დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული და მეტყველების უნარმოკლებული, 18-29 წლამდე ახალგაზრდების, ბავშვების, რეიტენგრაციის პროგრამით მოსარგებლე და 40 წლამდე მკვეთრად გამოხატული შშმ ქალების ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. აღნიშნული ბენეფიციარების სახცოვრებელი პირობებისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ყოველთვიური მატერიალური დახმარება კალენდარული წლის განმავლობაში გაეწევათ შემდეგ ბენეფიციარებს: ა. მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წელზე მეტი ასაკის ბენეფიციარებს – 130 (ას ოცდაათი) ლარის ოდენობით; ბ. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს – 150 (ას ორმოცდაათი) – 200 (ორასი) ლარის ოდენობით; გ. სმენადაქვეითებულ და მეტყველების უნარმოკლებულ ბენეფიციარებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით; დ. 18-დან 26 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე: დ. ა) ბენეფიციარებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; დ. ბ) კლასიკური ფენილკეტონურიით დაავადებულ ბენეფიციარებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; დ. გ) აუტისტური სპექტრის მქონე ბენეფიციარებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; ე. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს (18 წლამდე), რომლებიც საჭიროებენ მომვლელს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; ვ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლე შშმ პირებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;



ზ) 40 წლამდე მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს – 130 (ას ოცდაათი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირების ძირითადი საჭიროებების ნაწილობრივი დაკმაყოფილებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას

შუალედური შედეგი

შშმ პირების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერა

ა(ა)იზ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (კოდი 06 02 03)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00) სოციალური პროგრამები (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იზ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (კოდი 06 02 03)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იზ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბოლნისის სათნოების სახლი .
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება უპოვარ და უმწეო მოხუცთა თავშესაფრით, კვებით და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა; განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური შინ-მოვლის მომსახურებით; ძალადობის მსხვერპლის ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა. ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმული და სოციალურად დაუცველი პირებისთვის ღირსეული პირობების შექმნა, დღის განმავლობაში კვებით, პირველადი მოვლით, სოციალურ ინტეგრაციითა და ჰუმანური მომსახურებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი სოციალური უსაფრთხოება, იზოლაციის შემცირება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

შუალედური შედეგი

ხანდაზმული ბენეფიციარების ძირითადი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება (კვება, ჰიგიენა, დასვენება);

სიცოცხლის ღირსეული პირობების უზრუნველყოფა — სითბო, მოვლა, პატივისცემა;

სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 04)



პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 04)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა და სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება. სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, ერთ წლამდე ბავშვების კვებით უზრუნველსაყოფად, დახმარება გაეწევათ თვეში – 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის აუცილებელი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, რათა ხელი შეეწყოს მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას, სწორი ზრდა-განვითარების პროცესს და სიღარიბის პირობებში არსებული რისკების შემცირებას.
შუალედური შედეგი	
	ბავშვთა სიცოცხლის ხარისხისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;
	ბავშვის ასაკისთვის შესაფერისი კვების უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	

18 წლამდე ბავშვების ლოგოპედის მომსახურების უზრუნველყოფა (კოდი 06 02 05)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 05)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური



	ლოგოპედის მომსახურების საფასური 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით აუნაზღაურდებათ:
	ა) დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს;
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს;
	გ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს;
	დ) სმენადაქვეითებულ ბავშვებს (IV ხარისხის სმენაჩლუნგობა);
	ე) განვითარების ეტაპების შეფერხების მქონე ბავშვებს.
	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურების უზრუნველყოფა, აღნიშნული ბენეფიციარებისათვის მეტყველების შესწავლა და გაუმჯობესება.
	ქვეპროგრამის მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების კომუნიკაციის უნარების განვითარება, საუბრის, ენისა და მეტყველების დარღვევების კორექცია, მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და განათლების პროცესში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობის გაზრდა ლოგოპედიური მომსახურების გზით.
შუალედური შედეგი	
მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება – ბავშვების მეტყველებითი პრობლემების იდენტიფიცირება და მკურნალობა.	

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება (კოდი 06 02 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება (კოდი 06 02 06)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიდარბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორცილებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლე ბავშვების ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა
	აღნიშნული ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად მატერიალური დახმარება გაეწევათ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლე 18 წლამდე არასრულწლოვნებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მზრუნველობა მოკლებული ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.
	ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფოს ზრუნვის სისტემიდან რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახებში



ცხოვრების მხარდაჭერა ყოველთვიური მატერიალური დახმარების გზით, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში ცხოვრებას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მეორეული ინსტიტუციონალიზაციის თავიდან არიდებას.

შუალედური შედეგი

1. ბავშვის ოჯახში დაბრუნების მდგრადობის გაზრდა – მატერიალური მხარდაჭერა

ამცირებს სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს, რაც ხელს უწყობს რეინტეგრაციის პროცესის წარმატებას.

გათბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (კოდი 06 02 07)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	გათბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (კოდი 06 02 07)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
	გათბობის სეზონის დასაწყისში მატერიალური დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით გაეწევათ შემდეგი კატეგორიის სოციალურად დაუცველ ოჯახებს:
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა) სოციალურად დაუცველ (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) მარტოხელა პენსიონერებს; ბ) სოციალურად დაუცველ (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) შშმ პირების ოჯახებს; გ) სოციალურად დაუცველ (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიან (სამი ან მეტი არასრულწლოვანი) ოჯახებს.
	ქვეპროგრამის მიზანია გათბობის სეზონის პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური ტვირთის შემსუბუქება და ზამთრის თვეებში მათი მინიმალური სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ერთჯერადი ფულადი დახმარების გზით.

შუალედური შედეგი

1. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა (კოდი 06 02 08)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
---	---



ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა. (კოდი 06 02 08)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამედიცინო უზრუნველყოფის (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები) პროგრამა კალენდარული წლის განმავლობაში უზრუნველყოფს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, დახმარება გაეწევათ: <ol style="list-style-type: none"> ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით); ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი)- ლარის ოდენობით; გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით; 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ: <ol style="list-style-type: none"> ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით); ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი)- ლარის ოდენობით; გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით; 3. სტაციონარული, ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით დახმარება გაეწევათ: <ol style="list-style-type: none"> ა) ლეიშმანიოზით დაავადებულ ბენეფიციარებს; ბ) დედ-მამით ობოლ 18 წლამდე არასრულწლოვნებს; გ) ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულ ბენეფიციარებს. 4. ფარისებრი ჯირკვლით დაავადებულ ბენეფიციარებს სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის დახმარება გაეწევათ – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით. 5. ომისა და სამხედრო ძალის ვეტერნებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ: <ol style="list-style-type: none"> ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით); ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი)- ლარის ოდენობით; გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით; 6. იძულებით გადაადგილებულ პირებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ: <ol style="list-style-type: none"> ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით); ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი)- ლარის ოდენობით; გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით; 7. ფსორიაზით დაავადებული ბენეფიციარების მედიკამენტური მკურნალობისათვის დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით გაეწევათ: <ol style="list-style-type: none"> ა) სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში. ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. 8. ფენილკეტონური და ჰიპერფენილალანემიით დაავადებულ ბავშვებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (სპეციალური საკვების შესამენად) დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში – 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით; 9. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს რეაბილიტაცია/აბილიტაციისათვის წლის განმავლობაში დახმარება გაეწევათ 7000 (შვიდათასი) ლარის ოდენობით; 10. ამ მუხლის 1-8 პუნქტებით გათვალისწინებული ბენეფიციარები ორი ან მეტი კატეგორიის არსებობის შემთხვევაში, დახმარებას მიიღებენ მხოლოდ ერთ კატეგორიიდან. 11. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით რეგისტრირებული იმ მოქალაქეების, რომლებიც განცხადებით მომართვის პერიოდში არ არის რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს სიდატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მათი მომართვის პერიოდში მიიღება ჯანმრთელობის მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას და ესაჭიროება სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება, აგრეთვე იმ მოქალაქეების, რომელზეც განცხადების განხილვის ეტაპისთვის ვრცელდება წესით დაწესებული შეზღუდვები (მაგ: ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი დახმარებები, გარდა მედიკამენტური მკურნალობისა), განცხადებას განხილავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია გამოაკლისის სახით დახმარება გაეწიოს ამ პუნქტით განსაზღვრულ პირს, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს – 5000(ხუთი ათასი) ლარის ოდენობით (აქედან მედიკამენტური მკურნალობისთვის არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით). <p>ქვეპროგრამის მიზანია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.</p>



შუალედური შედეგი

1. სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა;

ბინის ქირით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 09)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბინის ქირით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 09)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბინის ქირა არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ: ა. სოციალურად დაუცველ უსახლკარო – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში; ბ. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლს. ქვეპროგრამის მიზანია უსახლკარო პირების დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა ბინის ქირის დაფინანსების გზით, რაც ხელს შეუწყობს მათ სოციალური ინტეგრაციის პროცესს, უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობასა და ღირსეული ცხოვრების მინიმალური სტანდარტის მიღწევას.
შუალედური შედეგი	
1.საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები	

სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 10)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 10)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, დ. აღმაშენებლის ქ. უ/ნ-ში და დაბა კაზრეთში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია 250კვ/სთ – ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ3, ხოლო – ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, სიონის ჩიხი №1-ში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია სრულად – საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ3, ხოლო – ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და საცხოვრებელ პირობების გაუმჯობესება, სოციალური საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფინანსების გზით, რაც ხელს შეუწყობს მათი სტაბილურობასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.</p>
შუალედური შედეგი	
1.სოციალურ საცხოვრისის მცხოვრებთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება;	

სტუდენტთა დახმარება (კოდი 06 02 11)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სტუდენტთა დახმარება (კოდი 06 02 11)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტების წახალისებას და ფულადი ფორმით დახმარებას.</p> <p>ყოველთვიური მატერიალური დახმარება კალენდარული წლის განმავლობაში 10თვის მანძილზე (1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე და 1 მარტიდან 1 აგვისტომდე) გაეწევათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს, რომლებს სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში:</p> <p>ა) ობოლ და მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან – 50 (ორმოცდაათი) ლარი;</p> <p>ბ) იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან – 50 (ორმოცდაათი) ლარი;</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულით და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლის პერიოდში) – 50 (ორმოცდაათი) ლარი;</p> <p>დ) მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი) – 50 (ორმოცდაათი) ლარი;</p> <p>ე) სტუდენტებს ოჯახებიდან, რომელთაც ჰყავთ ორი ან მეტი სტუდენტი – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>ვ) შშმ სტუდენტებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ზ) „არასრულწლოვანთა მართმსახულების კოდექსი“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც გახდა სტუდენტი – 100 (ასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერით სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>



შუალედური შედეგი	
სოციალურად დაუცველი სტუდენტების მიერ განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა – ფინანსური მხარდაჭერა საშუალებას აძლევს მათ გადალახონ ფინანსური დაბრკოლებები.	

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (კოდი 06 02 13)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (კოდი 06 02 13)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერად მატერიალურ დახმარებას მიიღებენ: ა. მიმდინარე წლის 9 მაისისთვის – მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები – 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით; ბ. მიმდინარე წლის 8 აგვისტოსთვის (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი) – 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ოჯახები – 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით; გ. მიმდინარე წლის 27 სექტემბრისათვის (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი) – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახები- 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით; პროგრამის მიზანია ომისა და სამხედრო მოქმედებების ვეტერანთა, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური მხარდაჭერა, სახელმწიფოებრივი მაღლიერების გამოხატვა მათი გაღებული უდიდესი მსხვერპლისთვის და მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის დროებითი შემსუბუქება.
შუალედური შედეგი	
1.ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და თანადგომა.	
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	

ერთჯერადი დახმარებები (კოდი 06 02 14)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
---	---



ხორციელდება ქვეპროგრამა	
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ერთჯერადი დახმარებები (კოდი 06 02 14)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფილნი იქნებიან:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-ს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 150 000-მდე და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) ასი და მეტი წლის ხანდაზმული – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ) “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მსხვერპლი – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ერთჯერადად მატერიალური დახმარება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის დროებითი შემსუბუქება.</p>
შუალედური შედეგი	
მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება	

სარიტუალო მომსახურება (კოდი 06 02 15)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სარიტუალო მომსახურება (კოდი 06 02 15)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით ყოველი გარდაცვლილის ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფა გარდაცვალების შემთხვევაში, ღირსეული დაკრძალვის უზრუნველყოფით, რაც გამოხატავს ადამიანის უფლებების და სოციალური თანასწორობის პრინციპების დაცვას სიცოცხლის ბოლომდე.</p>



შუალედური შედეგი

გარდაცვლილი პირის ღირსეული დაკრძალვით უზრუნველყოფა

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (კოდი 06 02 16)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (კოდი 06 02 16)
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გასული და მიმდინარე წლებში სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიათის ბუნების მოვლენის – მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლიანობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი), ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ სარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს 500 (ხუთასი) ლარამდე ზიანი აუნაზღაურდებათ სრულად, ხოლო 500 (ხუთასი) ლარის ზემოთ – მიყენებული ზიანის 70%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) ლარისა. ხოლო სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიათის ბუნების მოვლენის – მიწისძვრა, სეტყვა წყალდიდობა, დიდთოვლობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი) შედეგად დაზარალებულ ოჯახებს ზარალი აუნაზღაურდებათ სრულად, წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის შესაბამისად.</p> <p>3. სტიქიის, ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად მსხვილფეხა და წრვილფეხა საქონელზე, საქონლის სადგომზე, საქონლის საკვებსა (თივა) და საკვების შესანახ თავლაზე მიყენებული ზიანის აღსადგენად დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ზარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. 4. მსხვილფეხა და მწვრილფეხა საქონელზე, აგრეთვე საქონლის სადგომზე მიყენებული ზარალის შემთხვევაში, დაზარალებულ ოჯახებს ზარალი აუნაზღაურდებთ მიყენებული ზიანის 70%-ის შემთხვევაში, მაგრამ არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო საქონლის საკვებზე (თივა), აგრეთვე საკვების (თივა) შესანახ თავლაზე მიყენებული ზარალის შემთხვევაში – არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ქვეპროგრამის მიზანი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ან სრულად ანაზღაურების გზით, მათი საცხოვრებელი, სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის სტაბილიზაცია</p>
შუალედური შედეგი	
დაზიანებული ქონების ნაწილობრივი ან სრულად აღდგენა/ანაზღაურება – საცხოვრებელი სახლების, ინფრასტრუქტურის ან სხვა ქონების აღდგენის ხელშეწყობა.	
დაზარალებული მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ან სრულად ანაზღაურება ფულადი ფორმით	



<p>პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა</p>	<p>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (კოდი 06 02)</p>
<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრი (კოდი 06 02 17)</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ააიპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საქართველო რადიკალური და სწრაფი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას, რადგან სპონტანურად და არათანმიმდევრულად განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანაში ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე გახშირებული სტიქიური უზედღურებები თუ სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების საფრთხე, რაც მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს, დიდი რისკის წინაშე აყენებს. საქართველოში ამ მიმართულებითაც არაერთი რეფორმა განხორციელდა და შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სრულყოფილი და სტაბილური სისტემის შექმნა მოითხოვს გრძელვადიან განვითარებას.</p> <p>საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და სხვადასხვა სახის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს:</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>Ø კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება), რაც გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური რეაგირებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/სწავლებას, სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.</p>
